


# დ რ მ ე ბ

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 24.

კვირა, 31 იანვარი 1910 წ.

დამატების № 5



მთაწმინდის სასახეში, — სურათი შმიტსა.

# ტენტაჟილის სიკვდილი.

პიესა ხუთ მოქმედებად  
მორის მეტერლინიკისა.

(დახასტული \*)

## მოქმედება მეხუთე.

უშველებელი რკინის კარი ბნელ თაღების ქვეშ. შემოდის იგრენა, დაღვრემილ-აღვლევებული, გაწეწილი თმით, ლამპრით ხელში.

**იგრენა.** (მობრუნდება გონ-დაკარგული). ისინი არ წამომყენენ! ბელანჟერა, ბელანჟერა!.. აგლოვალ!.. სად არიან? ამბობენ, გვიყვარსო, და მეკი მარტო მიმატოვეს... ტენტაჟილ, ტენტაჟილ!.. ოჰ, მაშ მართალი ყოფილა... ძლივ-ძლიობით ავდიოდი დაუბოლოავებულ კიბის საფეხურებზე, მივიწვედი ზევით ვეება უწყალო კედლებს შორის; გულში შიში შეეპარა... მომეჩვენა, თითქო თაღები იძვრიანო... (მიეუუდება სვეტს). წავიქცევი... ოჰ, ოჰ, ჩემო ბედკრულო სიცოცხლე! ვგრძნობ, რომ მალე განშორდება ჩემს სხეულს... არ მესმის, რა ჩავიდინე... ვერაფერი დავინახე, ვერა რა გავიგონე... რა სიჩუმეა!.. ეს ოქროს დალაღები კიბის საფეხურებსა და კედლებზე ვიპოვებ, და ამით მიჩვენებს გზა. ავკრიფე... ოხ, რა მშვენიერია!.. ჩემო ბავშვო, ჩემო პაწია ბავშვო... რა ვსთქვი ნეტა? ჰო, მაგონდება... აღარა მწამს... შეიძლება დავიძინო, ყოველივე ეს უმნიშვნელოა და შეუძლებელი... არც კი მესმის, რაზე ვფიქრობ... მაგრამ მაინც უნდა... მაგრამ მაინც უნდა მოკიფიქრო... ხან ერთს ამბობ, ხან მეორეს. მაგრამ აქ სული სცდება; ვერა სცნობ ყოველივეს, რაც გამოაშკარავდება. აქ მოველი ჩემის პატარა ლამპრით... თუმცა ქარია, მაგრამ არ ჩაჰქრა... მართლა და, რაზე უნდა ვიფიქრო, როდესაც ყველაფერი ასე გამოურკვეველია და ბუნდოვანი, მაგრამ ყოველივე ეს ხომ უნდა იცოდეს ვინმემ დანამდვილებით: მაშ რატომ არასტერს ამბობენ? (გაჩუმდები მიმოიხედავს). ყველა ამას პირველად ვხედავ, ამაზე ზევით ასვლა შეუძლებელია. გარშემო ყველაფერი დაკეტილია... ცივა... ისეთი სიბნელეა, რომ კაცს შესზარავს... წყვილია, თითქო ყოველივეს სწამლავს... აქ რაღაც საზარელი კარია... (კანს მიუახლოვდება და ხედავს შეკვლებს). ოჰ! რა ცივია... მთლად რკინისაა და სრულებით სადა, კლიტე არც კი აქვს... როგორღა იღება? ვერც ანჯამებს ვხედავ... ფარული კლიტე აქვს მგონი... ზევით ასვლა აღარ შეიძლება... საფეხურები აღარაა... (საშინელის ხმით დაჰკვირვებს) აი! კიდევ ოქროს დალაღები კარებში!.. ტენტაჟილ, ტენტაჟილ!.. მე ხომ ეს-ეს არის გავიგონე კარის მიხეთქება... მაგონდება, მაგონდება... უნდა... (გახედავს სვეტს კარებს მუშტებს და ფეხებს). ოხ, საშინელება! გველ-ვეშაპო!.. მაშ თქვენ აქა ბრძანდებით!.. გამიგონეთ ლანძღვით გამკობთ!.. (კანს შეკრე მხრიდან რაკუნის ისმის, შემდეგ ძლივ შესამჩნევად მოისმის ტენტაჟილის ხმა კანის მისახურათა შორის).

**ტენტაჟი.** დაო იგრენა, დაო იგრენა...  
**იგრენა.** ტენტაჟილ!.. რაო... რაო? ტენტაჟილ, შენა ხარ?..  
**ტენტაჟი.** გააღე, ჩქარა გააღე!.. აქ არის, აქ!..  
**იგრენა.** ოი! ოი! ვინა?.. ტენტაჟილ, ჩემო პატარა ტენტაჟილ, გესმის ჩემი ხმა! რა ამბავია? რა შეგემთხვა?..

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 4.

**ტენტაჟი.** ხომ არაფერი გატკინეს?.. სადა ხარ?..  
**იგრენა.** დაო იგრენა, დაო იგრენა?.. მოვკვდები, თუ კარს არ გამიღებ...  
**იგრენა.** მოიცადე, ვსინჯავ, მოიცა... ვაღებ, ვაღებ...  
**ტენტაჟი.** შენ ჩემი არა გესმის რა... დაო იგრენა! დრო მიდის... იმან ვერ შემიკავა... ვცემე, და... მერე გამოვექცი... ჩქარა, ჩქარა, მამდე!..  
**იგრენა.** მოვდივარ, მოვდივარ... სად არის?  
**ტენტაჟი.** ვერა ვხედავ... მაგრამ მესმის კი... ოჰ, მე-შინიან, დაო იგრენა, მეშინიან... ჩქარა!.. თუ ღმერთი გწამს, ჩქარა გააღე, დაო იგრენა!..  
**იგრენა.** (ძაღზე შეწუხებული, მოუსვენარ ყოფაში, სინჯავს კარებს). დარწმუნებული ვარ, ვიპოვნი... ცოტახანს მოიცა... ერთს წუთს... ერთს წამს..  
**ტენტაჟი.** მეტი დაცდა აღარ შემიძლიან, დაო იგრენა... მესმის მისი სუნთქვა...  
**იგრენა.** ეგ არაფერია, ტენტაჟილ... ნუ გეშინიან, ჩემო პატარა ტენტაჟილ... მაგრამ ვაი, რომ ვერა ვხედავ...  
**ტენტაჟი.** მე ხომ ვხედავ შენთან რაღაც შუქს... შენს ახლო განათებულია, დაო იგრენა... აქ მეტს ვერასტერს ვხედავ...  
**იგრენა.** მხედამ, ტენტაჟილ? როგორა მხედამ? აქ არაფერი ხანი არა სჩანს.  
**ტენტაჟი.** არა, არა, არის, მხოლოდ მეტად მცირე...  
**იგრენა.** რომელ მხარეს? აქა?.. მითხარი... იქნება, ესა?  
**ტენტაჟი.** აი აქ, აქ... არ გესმის? ვარაკუნებ...  
**იგრენა.** აქა?  
**ტენტაჟი.** ზემოდ?.. მაგრამ ისეთი პატარაა, რომ ნემსი-სიცივი ვერ გაეტევა...  
**იგრენა.** ნუ გეშინიან, ვიპოვე...  
**ტენტაჟი.** ოხ, მესმის, დაო იგრენა! გასწი კარებს, ძლიერ გასწი! მოდის! ოხ, რომ შემეძლოს ცოტათი გაღება, მხოლოდ ცოტათი... მე ხომ ისე პატარა ვარ!  
**იგრენა.** მე ფრჩხილები დავიმტვრიე, ტენტაჟილ! ხელსა ვკრავდი, ვაბრახუნებდი, ვიწვედი... (გაღვი ახასუნებს კანს და სცდილობს რაგონზე შესძქას, მაგრამ კანი ან იძვრის)-ორი თითი დამიდუნდა... ნუ სტირი... ეს რკინაა...  
**ტენტაჟი.** (უიშედეგ ქვითინებს). ისეთი არაფერი გაქვს, დაო იგრენა, რომ კარი გავაღოთ?.. არაფერი, არაფერი... მაშინ კი შემეძლო გამოსვლა... იმიტომ რომ... ხომ იცი, რა პატარა ვარ, პატარა...  
**იგრენა.** მე მხოლოდ ლამპარი მაქვს, ტენტაჟილ... აი, აი!.. (მაგნა სვეტს ღამპრით კანს ღამპრით ჰქრება და ტუტება). ოხ, როგორ უცებ დაბნელდა!.. ტენტაჟილ, სადა ხარ? ოხ, გამიგონე, გამიგონე!.. არ შეგიძლიან, შეგნიდან როგორმე გააღო კარი?..  
**ტენტაჟი.** არა, არა აქ არაფერია... იმ პატარა სინათლესაც კი ვეღარ ვხედავ...  
**იგრენა.** რა გემართება, ტენტაჟილ? მე თითქმის აღარა მესმის-რა...  
**ტენტაჟი.** დაო, დაო იგრენა... შეუძლებელია და...  
**იგრენა.** რა არის, ტენტაჟილ?.. სად მიხვალ?..  
**ტენტაჟი.** ის, იქ არი... ღონე აღარა მაქვს დაო იგრენა, დაო იგრენა! მე ვგრძნობ...  
**იგრენა.** ვისა?.. ვისა?..  
**ტენტაჟი.** არ ვიცი... ვეღარაფერს ვხედავ... ყველა ეს აუტანელია!.. ის... ის... ყელში მიჭერს... ო... ოხ... დაო იგრენა, მოდი აქ.  
**იგრენა.** ჰო, ჰო...

**ტენტაუ.** რა ბნელა!

**ივრენა.** ხელიდან გაუსხლტი, მოიგერე!.. ნუ გეშინიან! კიდევ ერთი წუთიც... და მანდ გაეჩნდები... ტენტაუილ!.. ტენტაუილ! მიპასუხე!.. მიშველეთ... სადა ხარ? სად? მე გიშველი... მე... ნომეხვიე... მანდედან მომეხვიე, აი აქ, აქ!..

**ტენტაუ.** (ძლიერ სუსტად) აქ... აქ... დაო ივრენა...

**ივრენა.** აი აქ, აქ მინდა გაკოცო, გესმის? კიდევ, კიდევ!

**ტენტაუ.** (უფრო და უფრო მისუსტებული). მეცა გკოცნი... აქ... დაიკო... დაო ივრენა... ჰო... (რკინის კარებს აქით მოასმის ჰატარა ტანის ძიხს დაგემა).

**ივრენა.** ტენტაუილ, ტენტაუილ! რა ჰქენი?... მომეცით, დამანებეთ... ღვთის გულისათვის, დამიბრუნეთ! აღარა ისმის-რა... რას უშვრებით? ხომ მართალია, რომ თქვენ არაფერს დაუშვებთ, არას ატკენთ? ევ ხომ საცოდავი ბავშვია... თქვენთვის ხომ არაფერი წინააღმდეგობა გაუწევია... შემომხედეთ, მიყურეთ. მე ხომ ბოროტი არა ვარ... მუხლ მოდრეკით გვედრები, მომეცით! ეგ მარტო მე ხომ არ მეკუთვნის, ხომ იცი: ყველაფერზე მხათა ვარ... ყველაფერს ავასრულებ, რასაც ჩემგან ითხოვენ... ხომ ჰხედავთ, არა ვ:რ ცუდი... გულ-ხელი დაკრეფილი გემუდარე-

## ტფ. გიმნასტიური საზოგადოება „სოკოლი“

ტფ. გიმნასტიური საზოგადოება „სოკოლი“ (შეფარდენი) დაარსა გიმნასტიკის მოყვარულთა წრემ 1898 წელს. „სოკოლის“ საზოგადოებათა შორის რუსეთში ეს საზოგადოება ყველაზე ადრე დაარსდა.

როგორც ვიცით, ამ გვარი საზოგადოებანი ძალიან არის გავრცელებული საზღვარ-გარედ, განსაკუთრებით ავსტრიის პატარა ერებში. პირველად ჩეხიამ შემოიღო ამ გვარი საზოგადოება. ეხლა იქ ქალაქი და სოფელი არ არის, რომ „სოკოლის“ საზოგადოება არ არსებობდეს. დღეს ჩეხიაში ასი ათასობით არის ჩაწერილი ქალი და კაცი „სოკოლის“ საზოგადოებებში. ჩეხიაში ამ საზოგადოებებს გიმნასტიკის გარდა სხვა დანიშნულებაცა აქვთ. ჩეხიას დღეს ამ საზოგადოებების წყალობით მშვენივრად გაწვრთნილი რაზმები ჰყავს... საზოგადოების წევრნი მალ-მალ იკრიბებიან და ვარჯიშობენ. წელიწადში ერთხელ იმართება სრულიად ჩეხიის „სოკოლის“



თბილისის გიმნასტიური საზოგადოება „სოკოლი“.

ბით... გემორჩილებით, დამნაშავე ვიყავ... ხომ ჰხედავ... რაც გამაჩნდა ყოველივე დავკარგე... სხვანაირად დაგვსაჯეთ.. არის ბევრი რამ, რომელიც უფრო მეტს მწუხარებას მომანიჭებდა... ჩემს ტანჯვას, თუ ეს შენთვის საჭიროა, ყოველთვის მოესწრობით... მაგრამ საბრალო ბავშვი არაფერშია დამნაშავე... ყოველივე ტყუილია, რასაც ვამბობდი... მაგრამ მე არ ვიცოდი... კარგად ვიცი, რომ თქვენ გულ-კეთილი ბრძანდებით... ხომ უნდა აპატიოთ როდისმე მაინც... იგი ჯერ ისე ნორჩია, ლამაზი... თვითონვე ჰხედავთ, რომ ეს შეუძლებელია... ყელზე გეხვევათ თავის პაწია ხელებით და გკოცნით. თვით ღმერთსაც კი არ შეუძლიან ამ სურათის გულცივად ატანა... თქვენ ხომ გაუღებთ კარს, გაუღებთ ღანა? დახეთ, რა უბრალო რამესა ვთხოვთ... თითქმის არაფერს... იგი მხოლოდ ერთის წუთით უნდა ვნახო, მარტო ერთის წუთით... აღარ მახსოვს... გესმის თუ არა... დრო არა მქონდა... ცოტა რამ არის საჭირო, რომ გამოვიდეს და ეს კი თქვენ ადვილად შეგიძლიან... (ხანგრძლივი სიჩუმეა) გველ-ვეშაპო, გველ-ვეშაპო! წყეულმც იყავ!.. (ქანტ მიწვევითი ჩუმად ქვითინებს, თან გაშდილ ხელებს კარებისკენ აშვერს).

საზოგადოებათა ვარჯიშობა. ნამდვილი დღესასწაულია ხოლმე ამ დროს. მთელი ჩეხია იკრიბება. დიდ-ძალი საზოგადოება მოდის საზღვარ-გარეთიდანაც.

ჩეხიის მაგალითს სხვა წკრილმა ერებმაც მიჰბაძეს და დღეს ავსტრიაში არ არის ერი, რომლის ქალაქ-დაბასოფლები ამ გვარ საზოგადოებებით არ იყოს მოფენილი.

რუსეთში სულ ბოლო დროს შეუდგნენ „სოკოლის“ საზოგადოებების დაარსებას. როგორც ზემოდა ვსთქვით, ტფილისის საზოგადოება ამ მხრივ პირველია. წინად მთავრობაც ხელს უშლიდა და „სოკოლის“ საზოგადოების დაარსების ნებას არ აძლევდა.

ტფილისის „სოკოლის“ საზოგადოებაში დღეს ითვლება 185 ნამდვილი წევრი და 25 გარეშე მოსიარულე. ქალთა წრეში 50-ზე მეტი მონაწილეა. გიმნასტიური მეცადინეობა არის კაცებისათვის კვირაში სამჯერ, ხოლო ქალებისათვის—ორჯერ ვაჟთა პირველ გიმნაზიის გიმნასტიურ დარბაზში. გიმნასტიკა „სოკოლის“ სისტემაზე სწარმოებს, როგორც მიღებულია ჩეხიაში. საგიმნასტიკო ტანისამოსიც იქაური აქვს მიღებული (იხილეთ სურათი). საზოგადოებას თავისი ინვენტარი აქვს, 700 მანეთად ღირებული წლიური საწევრო გადასახადი 6 მანეთია.

თამარ ნათიშვილი.

ფარდა.

ეროვნებით საზოგადოების წევრები ასე გაიყოფებიან: 100 რუსი და პოლონელი, 32 ქართველი, 14 სომეხი, 9 ჩეხი, 6 ებრაელი, 5 ფრანგი, დანარჩენი სხვა ეროვნებისა. საზოგადოებაში წევრები ერთმანეთს შენობით ელაპარაკებიან, — ასეთი წესია მიღებული. მისალმების დროს საზოგადოების წევრები ერთმანეთს ეუბნებიან „ნაზდარს“, რაც ნიშნავს „გამარჯვებას“.

საზოგადოების უმთავრეს ხელმძღვანელებად ითვლებიან: ლუკეში, იგნატიევი, ვახეკი, პერეკრესტოვი, ლორენცენი, ვლენგერი და ბახუტოვი. მათა ჰყავთ რვა თანაშემწე.

როგორც ვიცით, „სოკოლების“ საზოგადოება ამას წინად ქუთაისშიაც დაარსდა.



# მითხარ, მყინვარო!

—§—

ცხოვრების ტალღამ შემიტყუა, შემათამაშა, გაკაჟდა გული, დიდხნის კრული, გამისალკდევდა, მზემ თვის მთიები გულს ჩააწნა, გააკაშკაშა,— აწ უკმეხთ რისხვას გრიგალს ვატან, არ მაკრთობს სევდა!


\*  
\* \*

ვხედავ, იაღბუხს, ცად ატყორცვნილს, მთას, ამაყს, მყინვარს, სად ქარიშხალმა მთის მწვერვალიც კი შეარხია, ვხედავ, დაბურულს შავის ძაძით გამხმარს ერთ ბუჩქნარს, იქ ჩემი სატრფოს დიდებული კუბო მარხია!..

\*  
\* \*

ბედის ვარსკვლავო, ნუ თუ კვლავ გსურს იყო მრისხანე? მითხარ, მყინვარო, უძღვევლო, რისხვისა მჩენო, სად მაქვს საფლავი? სად არს ჩემი ბინა-სავანე, თბოლი სულის დელვა-ქენჯნა სად დავსვენო?!

ა. გრიშაშვილი.



# ნუ შემიბრალებ!

--§ §--

ნუ შემიბრალებ, როგორც მონას, ჩუმი რომ ვსტირი, დანურც დამცინებ, თუ სურვილს ვებრძვი, როგორცა გმირი; ნუ შემიბრალებ, თუ გამოგყვე, როგორც აჩრდილი, უკუ მაქციე, არ დამინდო გრძნობით აღვსილი.

—:—

მე შენ მიყვარხარ, გათავყვანებ, როგორც მზის სხივსა, რომლის აღერსიც ყვავილსა ზრდის უფსკრულის პირსა; შენით ვარ ნაზი, ვით ზამბახი პატარა დღისა, ვათ თვით ოცნება ხე შეტყორცნილი — ლერწამი ტბისა.

შენ გათავყვანებ, ვით უპყრობელ მეხისა გრგვინვას და უდაბნოსა, საზარელსა ქარისა გმინვას, რადგან იქ ვპოვებ, იქ განვიციდი ღალატსა წმინდას, ვით შედუღებულ ზღვის ტალღებში სხივებთა ბზინვას.

—:—

ნუ შემიბრალებ, ნუ ჩამიქრობ გულისა დრტვინვას, ნურც ცრემლებს მომწმენდ, ნუ დამიხშობ სულისა გმინვას, რადგან, ვით გელი, ცრემლის ტბაში განვიბანები და ზათგან ნაზად ხმას ყვავილებს შევებანები;

—:—

სულისა კვნესა, ვით სიმღერა ცამდის მისწვდება და ღმერთ ბაასი უხილავ კიდეთ უმაღლ მისწყდება; ყურს დაუგდებენ მოციმციმე ვარსკვლავნი ცისა; სადმე იქექებს, გრძნობით სავსე ფანდურა ხისა,


—:—

მიყუჩდებიან მობუტბუტე ტალღები ზღვისა და ცრემლის ნაცვლად შიგ ჩააფრქვევს მთვარე თვის სხივსა; დაიღუმებენ, მალლა მთებზე ხენი თვის შრიალს. ნიავიც შესწყვეტს მათ გარშემო ჩუმ-ჩუმად წიალს;

—:—

სატანა კრული საღს კლდეებზე მოჰყვება ყიალს და მწუხარებით, ვით დაკლული, დაიწყებს ხრიალს. ნუ, ნუ შესწყვეტ ამ მარგალიტ ცრემლითა სრიალს, და ნუ დამიშლი, მშვენიერო, შენდამი ტრფიალს, ნუ ჩამომაციდი მოწაფებულ ტანჯვისა ფიალს, ნუ შეიბრალებ ამ პატარა გულისა ფრიალს!

ცქობი.



ლევან ყიფიანი: — ნეტა ეხლა სადღა წავიდე?.. ეჰ, მოდი ისევ „ტიფლისის“-ს მივაშურებ. აორემ ამდენ ფრენაში მეშინიან არ შემცივდეს...